ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ვლადიმერ წითლაური

საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა დინამიკა და პერსპექტივები

სამაგისტრო პროგრამა: ეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი,

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა

თბილისი 2020

ანოტაცია

ნაშრომი ასახავს საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების დინამიკას და პერსპექტივებს. მხარეთა შორის ურთიერთობები, რამდენიმე ფაქტორის გამო არის საინტერესო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემოდგომ, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისთვის ორივე მხარეს რთული გზის გავლა მოუწია, რაც საქართველოში განვითარებულმა სამხედრო დაპირისპირებებმა კიდევ უფრო დაამძიმა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მხარეთა შორის ურთიერთობები სავსეა რუსეთის მხრიდან ოპორტუნისტული ქცევის მაგალითებით. 2008 წელს, რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესიის შემდგომ, საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები თვისობრივად ახალ ფაზაში გადავიდა და დიპლომატიური ურთიერთობები საერთოდ შეჩერდა, თუმცა, დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად, მხარეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობები არასდროს შეწყვეტილა.

ნაშრომის პირველი და მეორე თავი, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული XX და XXI საკუნის ზოგიერთი მწვავე და საყურადღებო პროცესების ანალიზს მოიცავს, ხოლო მესამე თავში რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ ფარგლებში ეკონომიკური ექსპანსიის მიზნებს განვიხილავთ და ორ ალტერნატივას შორის საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ შემადგენელზე დაფუძნებულ არჩევანს წარმოგიდგენთ - ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი.

Abstract

The Dynamics and Perspectives of Economic Relations Between Georgia and Russia. There are some key factors to be always taken into account while discussing this relation.

Since the collapse of Soviet Union, both counties experienced major difficulties in making the smooth transition from a centrally planned command economy to a market-based economy, yet the process significantly halted for Georgia by the ongoing military confrontation. The aim of post-communist economic transition can be described mainly as building strong market institutions, both countries showing the exact same transition pattern.

In particular, not homo-economics, as it is the main driver of a developed market economy, but homo-transformaticus.

That's why it is quite interesting to see the impact of the financial crisis on the individual in the process of transformation as well as conducting the zombie analysis. Unfortunately, the relation between these two counties may serve as an example for constant opportunistic actions, as is broadly discussed below. Also, it's worth noting that economic relationships have never been severed between counties despite long existing tension and suspension of diplomatic relations following Russian intervention of 2008.

The first and second chapters of the paper cover the analysis of some of the acute and attention-grabbing processes of the XX (90th) and XXI centuries. In the third chapter, discussed are the goals of economic expansion within the framework of Russia's "liberal empire" and Post-communist Georgia standing at crossroads between two alternatives-the European Union or The Eurasian Economic Union.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება XX საუკუნის 90-იან წლებში 9

1.1. რუსეთის დეფოლტის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე 9

1.2. „ნულოვანი ვარიანტი“ 15

თავი 2. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება XXI საუკუნეში 19

2.1. ვაჭრობა, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები 19

2.2. „ომის პარადოქსი“ 27

2.3. მსოფლიო სვაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანება და საქართველოს ფაქტორი 33

თავი 3. საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი 37

დასკვნა 47

გამოყენებული ლიტერატურა 49

შესავალი

პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, კერძოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ იღებს სათავეს. ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით კი ეს პერიოდი ნიშნავდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ამ პროცესმა მოიცვა 15 ახლად წარმოშობილი დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაახლოებით 300 მილიონიანი საბაზრო პოტენციალით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების ცვლილებას საბაზრო ეკონომიკისთვის შესაფერის ინსტიტუტებად, ისე საკუთრების უფლების ფორმის ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთში არსებობდა „სოვეტოლოგიური ცენტრები“, რომლებიც სწავლობდნენ, თუ რატომ იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობა მცდარი, იმ დროისთვის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სამეცნიერო წრეებში, გეგმიანი განვითარების პრობლემა ითვლებოდა საყოველთაოდ მიღებული კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკიდან დროებით გადახრად და შესაბამისად აღნიშნული პრობლემის კვლევა დროის ფუჭ ხარჯვად იყო მიჩნეული. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ პროცესს, როგორც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვაჩვენებს, ეკონომიკური მეცნიერება მოუმზადებელი შეხვდა.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მმართველობის გაუქმება არაერთი ცნობილი ეკონომისტისთვის კვლევის ძირითად მიმართულებად იქცა. ტრანსფორმაციული ეკონომიკის თეორიის კვლევამ კი საშუალება მოგვცა ნათლად დაგვანახა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მძიმე მემკვიდრეობა. აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა ეტაპზე, ზემოთხსენებული მემკვიდრეობა ხშირად ატარებდა ნეგატიურ ხასიათს. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილია რამდენიმე სიტყვით აღნიშნული პრობლემის ზოგიერთ დეტალზე ყურადღების გამახვილება.

საქმე ეხება საბაზრო კონკურენციის არარსებობას. საბჭოთა კავშირში წარმოებული პროდუქცია, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან გამომდინარე დაბალი ხარისხის იყო. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ბევრი სექტორი სახელმწიფო დოტაციების ხარჯზე

მაინც აგრძელებდა ფუნქციონირებას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია დაბალხარისხიანი ან/და არაკონკურენტული აღმოჩნდა. ზუსტად ამ ფენომენს ვლადიმერ პაპავა „ნეკროეკონომიკას“ უწოდებს. (პაპავა,2010)

ასევე აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკისგან განსხვავებით, რომლის მთავარი მახასიათებელი გახლავთ ეკონომიკური ადამიანი - homo economicus-ი, საბჭოთა სივრცისთვის დამახასიათებელი რეგულაციები ქმნიდა ერთგვარ მარწუხებს, რის შედეგადაც „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ საკმაოდ დიდ მასშტაბებს იღებდა და შესაბამისად ჩამოყალიბდა ე.წ. „საქმოსანის“ ცნება, რომელიც კომუნისტურ სისტემის მარწუხებში მოქცეული საბაზრო ტიპის ქცევას განასახიერებდა. აქედან გამომდინარე პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბდა ტრანსფორმაციის პროცესის განმახორციელებელი პირი, ერთგვარად „ადაპტირებული ადამიანი“ რომელიც გარდამავალი ეკონომიქსის სახელმძღვანელოებში მოხსენიებულია როგორც homo transformaticus-ი (პაპავა, 2002).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის საგანს უმეტესწილად საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ეკონომიკური შემადგენელი წარმოადგენს. განსახილველი თემის სპეციფიკა იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი საკითხია, რომ შესაბამისად გვერდს ვერც პოლიტიკურ საკითხებს ავუვლით. აქედან გამომდინარე მკვლევარის მოსაზრებები, გარდა ეკონომიკური შემადგენლისა, რიგი მოვლენების პოლიტიკურ შეფასებებსაც შეიძლება მოიცავდეს, იქნება ეს დაშვებული შეცდომები, თუ განხორციელებული მიღწევები.

არცთუ სახარბიელო უახლესი ისტორიის პირობებში, გასათვალისწინებელია უამრავი ფაქტორი, რომლის ემპირიული ანალიზიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლებას შეუწობს ხელს, რაც თავის მხრივ ქვეყნისთვის კეთილდღეობის და უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ნაშრომში, შესაბამისი თავების და ქვეთავების მიხედვით, ქრონოლოგიურად ვითარდება საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი და მოიცავს ორ ქვეყანას შორის, როგორც უახლესი ისტორიის მანძილზე საქართველოში განვითარებულ სამხედრო კონფლიქტების, ისე სხვადასხვა მწვავე თემების ანალიზს, ასევე რუსეთის მხრიდან მათ შორის, საერთაშორისო

ფორმატის ფარგლებში განვითარებული მოვლენების შეფასებებს და ოპორტუნისტული ქმედებების მაგალითებს. აქვე განვიხილავთ სავაჭრო ურთიერთობებს და საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ფორმასა და მის რეალურ შინაარსს შორის არსებულ განსხვავებებს. საყურადღებოა საკითხები, როდესაც პრივატიზაციის საფარველ ქვეშ, რეალურად ხდებოდა რუსეთის მხრიდან საწარმოების ნაციონალიზაცია და რომელსაც მიუხედავად გაცხადებული დასავლური კურსისა იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკა უწყობდა ხელს. ამ ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია რუსეთის ე.წ. „ლიბერალური იმპერიის“ იდეა, რაც ევრაზიული ეკონომიკური კავშირის, ერთგვარ წანამძღვარს წარმოადგენს (Папава, 2012).

ნაშრომის მე-3 თავში შედარებული და დაპირისპირებულია ევროკავშირის და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის არსი, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი განმასხვავებელი ნიშნები და ამის საფუძველზე გამოთქმულია შესაბამის მოსაზრებები.

ნაშრომის ბოლოს, რეზიუმეს სახით მოცემულია, ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები ევროინტეგრაციის მიმართულებით. მოკლედ არის დახასიათებული ეკონომიკური განვითარების ევროპული გზის შესაძლო სარგებელი, როგორც ეკონომიკური განვითარების, ისე კერძო და საჯარო ინსტიტუტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

ამ ორი ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებული ურთიერთობების ანალიზის დროს საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები გაცილებით უფრო ადრე იღებს სათავეს. მაშინ როცა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები მჭიდრო ხასიათს უშუალოდ 2008 წელს განვითარებული მოვლენების შემდგომ გვევლინება. თუმცა, თუ ამ ურთიერთობებს მათი შინაარსის და ეკონომიკური შემადგენელის მხრივ გავაანალიზებთ, მარტივად გამოვიტანთ დასკვნებს, თუ რომელი მიმართულებით უნდა განვითარდეს ქვეყანა.

ნაშრომი მოიცავს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ორ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ეკონომიკური შემადგენელის მქონე მიმართულების ანალიზს, რომელიც მოიცავს

როგორც საქართველო-რუსეთის, ისე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვან საკითხებს და შეფასებებს.

თავი 1. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება XX საუკუნის 90-იან წლებში

1.1. რუსეთის დეფოლტის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი 90-იანი წლების ბოლოს, რუსეთში განვითარებული საფინანსო კრიზისი, გახლავთ, რომელიც ეკონომიკურ სამეცნიერო წრეებში „რუსეთის დეფოლტად“ არის მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფინანსურ კრიზისს როგორც ენდოგენური ისე ეგზოგენური ფაქტორები განაპირობებდა. 1998 წლის რუსეთის დეფოლტმა კი საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. თვალსაჩინოებისთვის ფინანსური კრიზისის რამდენიმე გამომწვევ მიზეზსა და მის მოკლე ანატომიას შევეხოთ.

ეკონომიკური კრიზისები უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე კაპიტალისტური სისტემის მუდმივ თანმდევ მოვლენას წარმოადგენს და ეკონომიკური განვითარების ერთგვარ ციკლურ ხასიათს ატარებს.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან ფინანსური ბაზრების მკვეთრი ზრდა შეინიშნება, რაც ფინანსურ სფეროში უზარმაზარი ღირებულების დაგროვებით გამოიხატა. კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისში სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვა შეადგენდა 3 ტრლნ აშშ დოლარს, საიდანაც 65% შეადგენდა ფულის ბანკთაშორის ბაზარს, ხოლო 1999 წელს კაპიტალის გლობალური ბაზრის ბრუნვა 18 ტრლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა, საიდანაც მხოლოდ 7% გახლდათ ფულის ბანკთაშორისი ბრუნვა ხოლო 93%-ს ფასიანი ქაღალდების ბანკთაშორისი ბაზარი წარმოადგენდა (მექვაბიშვილი, 2016). ასევე გლობალური მასშტაბით გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც განვითარებული ქვეყნების მხრიდან 90-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით აქტიურდება და მოიცავს როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებს ისე, აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს. იგივე შეძლება ითქვას პორთველური ინვესტიციების ზრდაზე, რომელიც აქციებს, ობლიგაციებს და სხვა სავალო ვალდებულებებს მოიცავს. მხოლოდ

1993-1995 წლებში, გლობალური მასშტაბით ობლიგაციების და სესხების ზრდის აბსოლუტური მაჩვენებელი 7,6 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მსოფლიო მთლიანი სამამულო პროდუქტის ¼-ზე მეტია. გლობალიზაციის პირობებში, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, სავალუტო ბაზრებზე მილიარდობით აშშ დოლარის გარიგებები დროის უმოკლეს ვადებში იდებოდა. მაგალითისთვის, თუ ვალუტის ბრუნვის თანაფარდობა მსოფლიო ექსპორტთან 1979 წელს 12:1 შეადგენდა, 1998 წელს აღნიშნული თანაფარდობა 60:1 შეიცვალა. ეს კი სავალუტო ბაზარზე სპეკულაციური ოპერაციების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. ფინანსური რესურსების მაღალი მობილურობა, ერთი მხრივ, ფინანსურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, - საკმაოდ მაღალია ფინანსური კრიზისების წარმოშობის საფრთხე, რაც მისი უზარმაზარ და უკონტროლო ზრდით შეიძლება დახასიათდეს. ფინანსური სფეროს საფუძველი ეკონომიკის რეალური სექტორის მომსახურების ფუნქციას წარმოადგენს. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აღნიშნული კანონზომიერება შეიცვალა, რაც სპეკულაციური ხასიათის ოპერაციების მკვეთრი ზრდით გამოიხატა. დისბალანსის პირობებში წარმოიშობა ფინანსური პირამიდები, აღნიშნული პროცესი კი საფრთხეს უქმნის როგორც გლობალურ ეკონომიკას, ისე სუვერენული სახელმწიფოების ეკონომიკურ სტაბილურობას.

რუსეთის 1998 წლის კრიზისს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, გარდა შიგა ფაქტორებისა, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ, დიდი გავლენა იქონია 1997 წელს, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში დაწყებულმა კრიზისმა, რომელიც დომინოს პრინციპით გავრცელდა ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე, მათ შორის იაპონიაზეც. იაპონია კი რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია, შესაბამისად აღნიშნული რეგიონალური კრიზისი, რომელიც ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ გარკვეულ ეტაპზე მსოფლიო კრიზისის სახეს იღებდა - რუსეთის ეკონომიკაზეც შესამჩნევი გავლენა იქონია.

განვითარებული ეკონომიკებისგან განსხვავებით, სადაც საბაზრო ინსტიტუციები კარგად არის განვითარებული, რუსეთის შემთხვევაში საქმე გვაქვს მბრძანებლური ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ტრადიციებთან, სახელმწიფო დოტაციებთან მიმართებაში, რის შემდეგაც წარმოიშობა „ნეკროეკონომიკა“ (Папава, 2014). საბჭოთა

კავშირის ეკონომიკაში ჩამოყალიბებულ რუტინასთან, რომლის თანახმადაც, საწარმოები ხშირად გააზრებულად აგროვებდნენ ვალს, შემდგომში მათი ზემდგომ ინსტანციებში ჩამოწერის იმედით. ფინანსური კრიზისის პირობებში კი მას ემატება ზომბი-ეკონომიკის რუტინა, რომლის უარყოფითი შედეგები მნიშვნელოვანწილად კრიზისის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ზომბი-ეკონომიკის რუტინის უკეთ აღსაქმელად, ჯეიმს ბიუკენენის საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის ძირითადი პოსტულატები დაგვეხმარება. სადაც ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეკონომიკური ადამიანის დანახარჯი/სარგებლის ანალიზის შედეგად მიიღება.

მიუხედავად იმისა რომ ეკონომიკურ თეორიაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ ფინანსური კრიზისის დაძლევის მიზნით, შეღავათიანი დაკრედიტება უარყოფითად აისახება ეროვნული ეკონომიკების შედეგებზე, ამ ინსტრუმენტს აქტიურად იყენებენ, როგორც განვითარებული, ისე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მქონე ქვეყნები. აღნიშნული ინსტრუმენტის გრძელვადიანი პერიოდით გამოყენება კი ხელს უწყობს სპეკულაციური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. „უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის ზომბირების პირველი სიმპტომები, მაგალითად, რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის დროიდან გამოვლინდა, რაც გახდა კიდეც პოსტკომუნისტური ზომბიეკონომიკის ფენომენის გაჩენის საბაბი“ (პაპავა, 2010, გვ. 39).

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 1998 წლის 17 აგვისტოს, რუსეთის მთავრობამ და რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მიიღეს გადაწყვეტილება უარი განეცხადებინათ სახაზინო ვალდებულებების მომსახურებაზე. ეს თარიღი, ეკონომიკის უახლეს ისტორიაში ცნობილია, როგორც „შავი პარასკევი“ და „რუსეთის დეფოლტი“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში რუსეთი თითქმის მუდმივად განიცდიდა ფინანსურ სირთულეებს. შესაბამისად ხშირად იღებდა საგარეო ვალს. მოსკოვის ცენტრალური ბანკის ცნობით, კრიზისის დროს, ცენტრალური ბანკის რეზერვებმა შეადგინა 24 მილიარდი აშშ დოლარი, ვალდებულებებმა არარეზიდენტების მიმართ (სახელმწიფო მოკლევადიანი ვალდებულებები/ფედერალური სესხი და საფონდო ბირჟებზე) კი 36 მილიარდი აშშ დოლარი. სესხის მომსახურებისთვის

ყოველწლიური გადასახდელი 10 მლრდ აშშ დოლარამდე შეადგენდა. პროცესი დააჩქარა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების კრიზისმა, რომლის შემდეგაც ფასები ნავთობსა და სხვა ნედლეულზე მკვეთრად დაეცა, ამ ფაქტმა კი რუსეთის შემოსავლების მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია. ამ ყველაფერს ემატება სპეკულაციური ოპერაციების გააქტიურება, მოვლენები კი რუსეთში ძალიან სწრაფი ტემპებით უარესდებოდა. ეს ფაქტობრივად გახლდათ კლასიკური ფინანსური პირამიდის მაგალითი, რომელიც 1998 წლის 17 აგვისტოს სახელმწიფოს მხრიდან გადახდისუუნარობის გამოცხადებით ჩამოინგრა.

დეფოლტის გამოცხადებიდან ორ თვეში, 1998 წლის 15 ოქტომბერს, რუსეთის სათათბიროში შეიქმნა დროებით კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა ზემოთხსენებული გადაწყვეტილების გარდაუვალი აუცილებლობის საკითხი და მოემზადებინა რეკომენდაციები ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის დაძლევის შესახებ.

1999 წლის 17 მარტს, 5 თვის მუშაობის შემდეგ, დროებითი კომისია, რუსეთის სათათბიროს წინაშე ანგარიშით წარსდგა, სადაც კომისია მიმართავს რუსეთის პრეზიდენტს, სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებს, მიიღონ ზომები 1998 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილების მიმღები პირების, ასევე 1995-1998 წლებში, სახელმწიფო ვალის შესახებ ქვეყნის პოლიტიკის პასუხისმგებელი პირების მიმართ, რათა ისინი არ იკავებდნენ აღნიშნულ თანამდებობებს არცერთ სახელმწიფო სამსახურში ან/და ისეთი ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ეკუთვნის სახელმწიფოს. გარდა ამისა დროებითმა კომისიამ მიმართა რუსეთის პროკურატურას, მათ მიერ შესწავლილი დოკუმენტების და გამოვლენილი ფაქტებიდან გამომდინარე, წარუდგინა რამდენიმე კანონპროექტი, რომელიც პრევენციულ ხასიათს ატარებს აგვისტოს კრიზისის განმეორების თავიდან აცილების შესახებ. ასევე, დაიწყოს დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები ანგარიშში ჩამოთვლილ და სხვა შესაძლო გადაცდომებთან დაკავშირებით. კერძოდ, ანგარიშში საუბარია უხეშ პროცედურულ დარღვევებზე, ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი პირების მხრიდან. ისეთები როგორებიც არიან ფინანსთა მინისტრი, რუსეთის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი, რუსეთის მთავრობის ეკონომიკური ექსპერტები ანატოლი ჩუბაისი და ეგორ გაიდარი. აღნიშნული დარღვევების

გათვალისწინებით კი ისინი ფაქტობრივად ერთპიროვნულად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, განხილვების და დისკუსიების გარეშე. დოკუმენტში საუბარია, ზემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებელი პირების მხრიდან მრავალი ტიპის მიზანმიმართულ მავნებლურ გადაცდომებზე და ეკონომიკურად გაუმართლებელ ნაბიჯებზე.

დროებითმა კომისიის მიერ შემუშავებულ ანგარიშში 17 აგვისტოს გადაწყვეტილების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესახებ საკმაოდ ვრცელი ინფორმაციაა მოცემული. ჩამოთვლილი შედეგებიდან მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- ინვესტორებმა ქვეყნის მიმართ დაკარგეს ნდობა, გადახდისუნარიანობის და კონკურენტუნარიანი ბაზრის თვალსაზრისით - შედეგად ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგები გაუარესდა სხვადასხვა მიმართულებით;
- საბანკო სექტორში განხორციელდა მნიშვნელოვანი დარღვევები საგადამხდელო თვალსაზრისით - მთავრობის მხრიდან ვალების მომსახურებაზე უარის თქმის შედეგად კომერციული ბანკების პირდაპირმა დანაკარგებმა შეადგინა 45 მლრდ რუბლი. ხოლო რუსეთის საბანკო სისტემის მთლიანმა დანაკარგმა შეადგინა 100-150 მლრდ რუბლი. გაკოტრებული კომერციული საბანკო სისტემის საწყის ნიშნულზე დაბრუნება, 100 მლრდ რუბლი;
- მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა - შემცირდა 300 მლრდ რუბლზე მეტი ოდენობით;
- ბიუჯეტის შემოსავლები შემცირდა როგორც რეგიონალური ისე ფედერალური მასშტაბით - მიუღებელი შემოსავლების საპროგნოზო ოდენობამ შეადგინა - 85-90 მლრდ რუბლი, თუმცა საბოლოო შედეგი 1999 წელს იქნება ცნობილი.

აღნიშნული ანგარიში 122 გვერდიან დოკუმენტია და საკმაოდ დეტალურად არის ნაჩვენები რუსეთის ფედერაციის ფინანსური კრიზისის ყველა უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი (Аналитический вестник, 1999).

მოვლენები იმდენად სწრაფად ვითარდებოდა, რომ რუსეთში განვითარებული მოვლენები 1998 წლის სექტემბერში უკვე საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან რაიმეს სახის პროგნოზები არ გაკეთებულა, ხოლო მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესახებ ოდნავ მოგვიანებით გვექნება საუბარი.

რუსეთის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის დიდი დეფიციტი (ЦБ, 1999) აისახა საქართველოში აშშ დოლარის მიმართ მოთხოვნის მკვეთრი ზრდით. გარდა იმისა, რომ რუსეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო, საქართველოში იმ დროისთვის რუსული სამხედრო ბაზები იყვნენ განლაგებული, რომლებსაც დიდი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის ტერიტორიაზე მიმოქცევაში მყოფი აშშ დოლარის რუსეთში გატანის მხრივ. რუსი სამხედრო მოსამსახურეთა მეშვეობით, ხდებოდა რუსული რუბლის ნებისმიერ ფასად მათი აშშ დოლარში კონვერტაცია და შედეგად ქვეყნიდან გადიოდა მიმოქცევაში არსებული ვალუტის მნიშვნელოვანი ნაწილი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გახლდათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ერგნეთის ბაზრობა, რომელზეც თბილისის მიერ კონტროლი ვერ ხორციელდებოდა. შესაბამისად ერგნეთის ტერიტორიიდან და სამხედრო ბაზების მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოდიოდა დიდი რაოდენობით კონტრაბანდული და დაბალხარისხიანი საქონელი.

ჩამოთვლილმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი შედეგები მოიტანა. პირველ ეტაპზე, ერთ დღეში, ლარი იმდენად ნახტომისებურად გაუფასურდა, რომ ამ დღეს „შავი ორშაბათიც“ კი შეარქვეს. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ეროვნული ვალუტა 1998 წლის მოვლენებამდე სტაბილურობით გამოირჩეოდა, ვინაიდან მას როგორც 90-იანი წლების მთავრობის ერთ-ერთ წარმატებული რეფორმას, მყარი საძირკველი ჰქონდა.

ეროვნული ვალუტის კურსის დევალვაციის შესაკავებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო რეზერვების ხარჯვა დაიწყო. აქ ყურადსაღები ფაქტი გახლავთ რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების გამოყენების წინააღმდეგი გახლდათ. თუმცა მიუხედავად მათ

მიერ გაცემული რეკომენდაციებისა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯების მართლზომიერება საბოლოოდ აისახა კიდეც ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს მთავრობის და ეროვნული ბანკის კოორდინირებული მუშაობა, რომელთა მიერაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ლარის თანდათანობითი დევალვაციის შესახებ და, მაშინ, როცა ქვეყნის რეზერვები ამოიწურა ჩვენ მივიღეთ გაუფასურებული ეროვნული ვალუტა თუმცა არა ნახტომისებური, არამედ თანდათანობითი, იმისათვის რომ დევალვაცია ყოფილიყო პროგნოზირებადი და ბაზარზე პანიკა არ გამოეწვია.

ამრიგად, 1998 წლის მოვლენების დროს, საქართველოში, განსხვავებით ჩრდილოელი მეზობლისგან - არცერთი კომერციული ბანკი, არცერთი იურიდიული თუ ფიზიკური პირი არ გაკოტრებულა. შედეგად, თავიდან იქნა აცილებული საბანკო კრიზისი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკა სავალალო შედეგებამდე შეეძლო მიეყვანა.

1.2. „ნულოვანი ვარიანტი“

XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ ერთი საყურადღებო თემა არის.

საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ხელმოწერილია 1993 წლის 14 სექტემბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2001 წლის 16 თებერვალს. დოკუმენტის სრული დასახელება გახლავთ: „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალთან და აქტივებთან დაკავშირებულ სამართალმემკვიდრეობის საკითხთა მოწესრიგების შესახებ“, თუმცა იგი ცნობილია როგორც ე.წ. „ნულოვანი ვარიანტი“. თავიდანვე უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღებასთან და შემდეგ უკვე საქართველოს პარლამენტის მიერ მის რატიფიცირებასთან დაკავშირებით ბევრი ბუნდოვანი საკითხი არსებობს.

თვალსაჩინოდ რომ დავინახოთ, თუ რატომ არის აღნიშნული საკითხი საყურადღებო, აუცილებელია დეტალურად განვიხილოთ განვითარებული მოვლენების დინამიკა.

რატომ „ნულოვანი ვარიანტი“? როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა, იყო რამდენიმე ვარიანტი თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ეს პროცესი. საბჭოთა კავშირის დაშლის ეკონომიკური შემადგენელის ირგვლივ ბევრი დისკუსია გაიმართა. კერძოდ, რომელი რესპუბლიკა რომელი რესპუბლიკის ხარჯზე არსებობდა. ამის დადგენა კი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური მოწყობის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო. მაგალითისთვის, ამ დისკუსიების ფარგლებში, ზემოთხსენებული კვლების ჩატარების მიზნით, მოსკოვში შეიქმნა კომისია, რომელშიც იმდროინდელი წამყვანი ეკონომისტები მუშაობდნენ და კომისიამ დაადგინა, რომ ერთი რესპუბლიკა ინახავდა დანარჩენ თოთხმეტს. ყველამ იფიქრა, რომ ეს ერთი რესპუბლიკა რუსეთი გახლდათ, თუმცა აზერბაიჯანი აღმოჩნდა. დისკუსიაში ჩართული ყველა მხარე მიხვდა, მიუხედავად იმისა რომ აზერბაიჯანის ეკონომიკა საკმაოდ მდიდარი იყო ბუნებრივი რესურსებით, აშკარად არ იყო სწორი დათვლის მეთოდიკა. იქიდან გამომდინარე რომ მაშინდელი „გოსპლანის“ პირობებში ფასები არ იყო რეალური და არ ასახავდა ეკონომიკას, ბუნდოვანი იყო ბიუჯეტში გადახდების საკითხიც. შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მომხდარიყო „განქორწინება“ ისე, როგორიც არის მიმდინარე ეტაპის სტატუს-კვო. კერძოდ, რაც საქართველოს ტერიტორიაზეა - საქართველოსია,

ხოლო რაც რუსეთის ტერიტორიაზეა - რუსეთის და ეს პრინციპი გავრცელდეს საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკაზე თანაბრად.

აღსანიშნავია რომ ამ დროისთვის არსებობდა სამი სახეობის საწარმოები. საკავშირო დაქვემდებარების, რესპუბლიკური დაქვემდებარების და ადგილობრივი დაქვემდებარების. საკავშირო და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოები რჩებოდა იმ რესპუბლიკას რომლის ტერიტორიაზეც იყო (მაგალითად, საკავშირო დაქვემდებარების იყო რუსთავის მეტალურგიული და კიროვის ჩარხმშენებლი ქარხნები), ხოლო რესპუბლიკის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმო, რომელიც სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობდა - იმ რესპუბლიკის დაქვემდებარებაში, რომლის ფულითაც მოხდა აშენება.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია ცხადდებოდა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრედ და შესაბამისად საბჭოთა კავშირის ყველა აქტივი და ვალდებულება გადადიოდა რუსეთის მხარის საკუთრებაში. მაგალითისთვის უძრავი ქონება, რომელიც საბჭოთა კავშირის საელჩოებისთვის იყო შეძენილი რუსეთის საკუთრებაში რჩებოდა. თუმცა აღნიშნული მუხლი არ ვრცელდებოდა საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდსა და მაშინდელი სახელმწიფო ბანკ „ვნეშტორგბანკში“ განთავსებულ საქართველოს კერძო და იურიდიულ პირთა დეპოზიტებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც წესი, საგარეო ვალს დასავლეთის ქვეყნებისგან იღებდა და კომუნისტური ორიენტაციის სახელმწიფოების მთავრობებს აძლევდა სესხად.

ასეთი გახლდათ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ხელშეკრულების პარაფირებული ვარიანტი. ხელშეკრულების პარაფირება კი ნიშნავს - საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, მისი ტექსტის ავთენტიკურობის დადასტურებას ხელშეკრულების სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხელმოწერით, რომელიც მოწმობს, რომ მოცემული ტექსტი წარმოადგენს ხელშეკრულების საბოლოო შეთანხმებულ ვარიანტს.

თუმცა აღნიშნული შეთანხმების 1993 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი დოკუმენტი მისი პარაფირებული ვარიანტისგან განსხვავებულია. ოფიციალურ, ხელმოწერილ ხელშეკრულებაში ტექსტიდან ამოღებულია მუხლი, რომელშიც

მითითებულია, რომ აქტივების რუსეთის სასარგებლოდ დათმობის შეთანხმება არ ვრცელდება საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდსა და მაშინდელი „ვნეშტორგბანკში“ განთავსებულ საქართველოს კერძო და იურიდიულ პირთა დეპოზიტებზე. ეს „სამწუხარო დეტალი“ კი საქართველოს ოფიციალურმა წარმომადგენლობამ ხელმოწერის შემდგომ, თბილისისკენ მომავალი თვითმფრინავის ბორტზე შენიშნა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მხრიდან მოსკოვში არაერთი საპროტესტო ნოტა გაიგზავნა, თუმცა ოფიციალური რუსეთის მხრიდან პასუხი არ მიუღია. მიუხედავად იმისა რომ ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იყო, საქართველოს მთავრობა უარს აცხადებდა შეთანხმების, პარაფირებული ვარიანტისგან განსხვავებული ფორმით რატიფიცირებაზე. აღსანიშნავია რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ პრობლემის მოგვარებაში საერთოდ არ ჩარეულა.

2000 წელს თბილისში საქართველო-რუსეთს შორის არსებული მუდმივმოქმედი ეკონომიკური კომისიის ვიზიტი გაიმართა. საქართველოს მთავრობამ, კომისიის შეხვედრაზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად, გამოთქვა პრეტენზია საბჭოთა კავშირის შავის ზღვის ფლოტთან დაკავშირებით. ამ პერიოდისთვის რუსეთსა და უკრაინას შორის მწვავე განხილვები მიმდინარეობს შავი ზღვის ფლოტის შესახებ.

საქართველოს მხრიდან ზემოთხსენებული საკითხის დაყენების შემდგომ, რუსეთს სხვადასხვა შესაძლო იძულებითი ბერკეტების ამოქმედებისკენ უბიძგა. კერძოდ, საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ დროსთვის საქართველოს სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის რუსეთის მიმართ საგარეო ვალი დაუგროვდა. ქვეყნებს შორის გარკვეული ვადით აღებული ვალის არდაბრუნება, ან/და ხელშეკრულებაში მითითებული საპროცენტო სარგებელის შემცირება, მოითხოვს აღნიშნული ვალის რესტრუქტურიზაციის მექანიზმების შემუშავებას, რომელსაც პარიზის კლუბი ახორციელებს, ხოლო პროცესს კოორდინაციას უწევს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საბოლოოდ კი, ყველა სხვა ქვეყანა მზად აღმოჩნდა ზემოთხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სქემის მიხედვით, საქართველოსთვის ვალების რესტრუქტურიზაცია მოეხდინა - გარდა რუსეთისა. რუსეთმა რესტრუქტურიზაციის სანაცვლოდ მოითხოვა

1993 წლის 14 სექტემბერს ხელმოწერილი „ნულოვანი ვარიანტის“ საქართველოს მხრიდან რატიფიკაცია.

საქმე იმაში გახლავთ, რომ საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის გარეშე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სხვადასხვა პროგრამების ამოქმედება შეუძლებელია, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციები, ერთის მხრივ ემყარებოდა ჩვენი არჩევანის თავისუფლებას, როგორც სუვერენული სახელმწიფოსი აღნიშნული საკითხი საერთაშორისო სასამართლოში განხილულიყო, თუმცა მეორეს მხრივ სასამართლო პროცესები საკამოდ დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ვიდრე დავის პროცესი არ დასრულდება, ზემოთხსენებული საერთაშორისო პროგრამები ვერ განხორციელდება.

საბოლოოდ, ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო, საქართველოს ხელისუფლება 2001 წლის 16 თებერვალს, იძულებული შეიქმნა საკუთარი ეროვნული ინტერესების საზიანოდ, „ნულოვანი ვარიანტის“ შეთანხმების, უკვე ხელმოწერილი ფორმით რატიფიცირება მოეხდინა. ამ თითქმის რვაწლიანი პროცესის უკანასკნელი ტრაგიკომედია გახლავთ ის, რომ საქართველოს პარლამენტმა „ასლის“ რატიფიცირება მოახდინა, ხელმოწერილი დედანის გაუგებარ ვითარებაში გაუჩინარების გამო.

თავი 2. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება XXI საუკუნეში

2.1. ვაჭრობა, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები

საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვის თემაა დღევანდელ საზოგადოებრივ თუ ეკონომიკურ წრეებში. მიუხედავად იმისა რომ ამ ეტაპზე ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობები დაძაბულ ხასიათს ატარებს, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები საერთოდ გაწყვეტილია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც ერთმნიშვნელოვნად რუსეთის მხრიდან

განხორციელებულ აგრესიად აღიქმება თანამედროვე მსოფლიოს მიერ - აღსანიშნავია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები არასდროს გაწყვეტილა.

საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლიდან იღებს სათავეს. საბჭოთა კავშირში მოქმედი მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში, სადაც ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობას საკავშირო მასშტაბით სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, ე.წ. „გოსპლანი“ ადგენდა, საქართველო თავისი მასშტაბის გამო ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად როგორიცაა სომხეთი და აზერბაიჯანი ეკონომიკური დარაიონების მიხედვით ერთ ამიერკავკასიის რაიონში შედიოდა. შესაბამისად საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები რეგიონულ ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საწარმოებს შორის ეკონომიკური კავშირები გაწყდა, ხოლო საქართველოსთვის ეს ურყოფითი პროცესი ბევრად უფრო სწრაფად განვითარდა, რადგან 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა და სამტრედიასთან გადაკეტა სარკინიგზო კვანძი, რაც საქართველოს მხრიდან პირველ ეკონომიკურად გაუმართლებელ საქციელად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან რუსეთი ამ დროს საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი იყო.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანებაში (დსთ) გაწევრიანებით იწყება, რომელშიც საქართველო 1993 წელს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სამხედრო კონფლიქტების შემგომ ურთიერთობის მოგვარების იმედით შევიდა. მიუხედავად იმისა რომ დსთ-ს ფორმატში არა ერთი სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთობა დამყარდა წევრ-სახელმწიფოებს შორის, იგი საწარმოო კოოპერაციებისთვის დამახასიათებელი სქემების შემუშავებისკენ სწრაფვის გამო თავიდანვე შეეჯახა სირთულეებს (პაპავა, 2015).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა საქართველოს მთავარი და ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი რუსეთი გახლდათ; მან 2006 წლამდე მხოლოდ ერთხელ, კერძოდ, კი რუსეთის დეფოლტის დროს მცირე ხნით დაუთმო ლიდერობა თურქეთს.

2006 წელს რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა განაცხადა, რომ ქართული ღვინო და მინერალური წყლები უხარისხობის გამო ვერ აკმაყოფილებდნენ რუსეთის

ბაზრის მოთხოვნებს, შედეგად, ამ პროდუქტებისთვის და მთლიანად ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის დახურა თავისი ბაზარი, რაც საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ უარყოფითად აისახა. აღსანიშნავია, რომ ეს არ გახლდათ ოფიციალური რუსეთის მხრიდან განხორციელებული სავაჭრო „ემბარგო“ და იგი მხოლოდ სანიტარული სამსახურის დასკვნით იყო გამყარებული. აქედან გამომდინარე, გაჩნდა სტიმული ქართული პროდუქციის გასასაღებლად ალტერნატული ბაზრების მოძიების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა რომ მოსკოვი მხოლოდ ხარისხის ნორმების შეუთავსებლობაზე მიუთითებდა, ეს თავიდანვე ატარებდა პოლიტიკურ ნიშნებს, რადგან აღნიშნული შეზღუდვა აფხაზეთის სეპარატისტული რეგიონიდან შეტანილ ღვინოს არ შეხებია და რომ რუსეთის შემდეგ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების შეტანა აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამაც აკრძალა.

რუსეთმა საქართველოს ერთგვარი ბლოკადა გამოუცხადა და ზემოთხსენებულ შეზღუდვებს მოჰყვა ყოველგვარი საავიაციო სატრანსპორტო, სარკინიგზო თუ საზღვაო მიმოსვლის და, მათ შორის, საფოსტო გზავნილების შეჩერება. რეალურად კი, ეს საქართველოს პროდასავლური ორიენტაციის გამო ერთგვარი პოლიტიკური „დასაჯა“ იყო. საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობების კულმინაცია კი 2008 წლის აგვისტოში 5 დღიანი ომით დასრულდა, რის შემდეგაც რუსეთის მხრიდან, მოჰყვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება, რითაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს არსებობა ფაქტობრივად აზრს კარგავდა და ამ აგრესიის შედეგად საქართველომ დატოვა კიდეც დამოუკიდებელ სახელმწიფოა თანამეგობრობა, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის შეწყდა, და ის ხორციელდება შვეიცარიის დიპლომატიური მისიების მიერ.

მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები არ შეწყვეტილა. საქართველო არის რუსეთში სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი „ექსპორტიორი“ და რუსეთი საქართველოში ინვესტიციების მნიშვნელოვანი „იმპორტიორი“.

ზემოთხსენებული სავაჭრო აკრძალვის გამო, საგარეო ვაჭრობა რუსეთთან მკვეთრად შემცირდა, თუმცა რუსეთში ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტთან

მიმართებაში თუ 2005 წელს, 1 წლით ადრე ვიდრე რუსეთი აკრძალავდა თავის ბაზარს ქართული წარმოების პროდუქციისთვის, 17,8 პროცენტიდან 2008 წელს 2,0 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წლიდან აღნიშნული ვარდნა ზრდის ტენდეციამ შეცვალა და თუ 2016 წელს 9,75 პროცენტს შეადგენდა, 2019* წლის მონაცემებით 13,19 პროცენტია.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* სტატისტიკის ეროვნულის სამსახურის მონაცემებით 2019 წლის მონაცემი არის არასრული

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება იმპორტის კუთხითაც. თუკი 2005 წელს რუსეთიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა მთლიან იმპორტთან მიმართებაში 15,4 პროცენტს შეადგენდა, 2008 წელს ეს მაჩვენებელი 6,7 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო 2010 წლიდან ვარდნა ზრდის ტენდეციამ შეცვალა და თუ 2016 წელს 9,26 პროცენტს შეადგენდა, 2019* წლის მონაცემებით 10,67 პროცენტია.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* სტატისტიკის ეროვნულის სამსახურის მონაცემებით 2019 წლის მონაცემი არის არასრული

ასევე მიუხედავად იმისა, რომ აკრძალვების შემდგომ რუსეთმა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და გერმანიის შემდეგ, იგი მაინც უსწრებდა ისეთ ქვეყნებს როგორიცაა აშშ, ბულგარეთი და ჩინეთი. ბოლო წლების მზარდი ტენდენციის მიხედვით კი 2019 წლის მონაცემებით, კვლავ მოწინავე პოზიციებს იბრუნებს, ევროკავშირის და თურქეთის შემდეგ მესამე ადგილს იკავებს.

რაც შეეხება ფულად გზავნილებს, საქართველოს ბევრი მოქალაქე როგორც ცნობილია რუსეთში ცხოვრობს და ამ მხრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველო ახორციელებს სამუშაო ძალის მნიშვნელოვან „ექსპორტს“ რუსეთში. მათ შორის ბევრმა ეთნიკურად ქართველმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა და ისინი ახორცილებენ საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის გადმორიცხვას საქართველოში, თავის ნათესავებთან. მიუხედავად 2006 წელს განხორციელებული ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის, მათ შორის რუსეთი მოქალაქეების გამოძევება და 2008 წლის ომმაც კი ვერ იქონია გავლენა რუსეთიდან თანხის გადმორიცხვის ტენდენციაზე. 2005 წელს, ერთი წლით ადრე, ზემოთხსენებული გამოძევებამდე, საქართველოში სულ გადმოირიცხა 403 მლნ აშშ დოლარზე მეტი, აქედან 240 მლნ აშშ დოლარზე მეტი რუსეთიდან, რამაც მთელი ფულადი გზავნილების 59,6 პროცენტი შეადგინა. 2008 წელს ფულადი გზავნილები 2005 წელთან შედარებით გაიზარდა 2,6-ჯერ და 1002 მლნ აშშ

დოლარი შეადგინა, სადაც ასევე 2,6-ჯერაა გაზრდილი ფულადი გზავნილები რუსეთიდან და შეადგენს თითქმის 634 მლნ აშშ დოლარს, რაც მთლიანი ფულადი გზავნილების 63,3 პროცენტს შეადგენს. 2009 წლის კი, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, საქართველოში ფულადმა გზავნილებმა შედარებით იკლო, თუმცა რუსეთიდან გადმორიცხული თანხების პროპორცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ფულადი გზავნილების 2019 წლის მდგომარეობით რუსეთი პირველ ადგილს იკავებს. სულ გადმორიცხული 1 733 მლნ აშშ დოლარიდან 24,74 პროცენტი რუსეთის ფედერაციაზე მოდის, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში 428 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია უკანასკნელი 24 თვის ფულადი გზავნილების მოცულობა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების მოცულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, რომ საქართველო სამუშაო ძალი მნიშვნელოვანი „ექსპორტიორია“ რუსეთის ფედერაციაში.

რაც შეეხება საქართველოში რუსეთის მხრიდან განხორციელებულ ინვესტიციებს, სტატისტიკური ინფორმაცია იმდენად არასრულყოფილია, თანაც ხშირად პირდაპირი ინვესტიციების განმახორციელებელი ფირმა ოფშორულ ზონებშია რეგისტრირებული და ამ ინვესტიციის წარმომავლობის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, თუმცა 2019 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, თუ არ ჩავთვლით ევროკავშირის ერთიან მონაცემს, როგორც გრაფიკზე ვხედავთ, თურქეთის, აშშ-ს, პანამის და ნიდერლანდების შემდეგ მეხუთე ადგილზე იმყოფება.

წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რუსული წარმოშობის ინვესტიციების გაძლიერება საქართველოში რუსეთის მხრიდან ე.წ. „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის იდეასთან არის დაკავშირებული და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ პროცესში 2003 წელს „ვარდების რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების პერიოდს უკავშირდება. აღსანიშნავია რომ ერთი შეხედვით მკაფიოდ გაცხადებული ქვეყნის პროდასავლური კურსის მიუხედავად ამ პერიოდში ე.წ „რუსული ვექტორი“ მკვეთრად გაძლიერდა და ეკონიმიკური ურთიერთობები დამყარდა ბევრ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის იყო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებიც.

2003 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის ერთერთ წამყვან გაზეთში „ნეზავისიმაია გაზეტაში“ დაიბეჭდა ცნობილი რუსი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის, ენერგეტიკული გიგანტის „რაო ე-ეს“-ის ხელმძღვანელის, ანატოლი ჩუბაისის სტატია „რუსეთის მისია XXI საუკუნეში“, სადაც საუბარია „ლიბერალური იმპერიის“ შესახებ, რაც ითვალისწინებს რუსული კერძო და სახელმწიფო კომპანიების მიერ განხორციელებულ ეკონომიკური ექსპანსიის მნიშვნელობაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რამაც მოსკოვის მხრიდან ამ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერება უნდა უზრუნველყოს. ამ კუთხით კი საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ადგილი უკავია, რაც, ერთი მხრივ, სომხეთთან რუსეთის ერთადერ დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს და, მეორე მხრივ, საქართველო ე.წ. „აბრეშუმის გზის“ წყალობით მნიშვნელოვან დერეფანია აზიიდან ევროპაში, მათ შორის ენერგეტიკული გამტარობის თვალსაზრისით.

მნიშვნენელოვანია რამდენიმე რუსული ინვესტიციის გამოყოფა. კერძოდ, პირველი საყურადღებო ინვესტიცია 2003 წლის ზაფხულში განხორციელდა როცა

რუსულმა „რაო ე-ეს“-მა გაკოტრებული ამერიკული კომპანია „ეი ი ეს სილქ როუდი“ შეიძინა. ამის შემდეგ „ვარდების რევოლუციის“ მთავრობის დროს, სპილენძისა და ოქროს მომპოვებელი საწარმოების, რუსული ჰოლდინგის „პრომიშლენნიე ინვესტორის“ მიერ შეძენა მოჰყვა. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა რუსული „გაზპრომი“, რომელიც რუსეთ-სომხეთის გაზსადენის ქართული მონაკვეთის შეძენაზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს, რომელიც მხოლოდ აშშ-ის ჩართულობის შედეგად ჩაიშალა. აღსანიშნავია რომ აღნიშნული პროცესი პრივატიზაციად „ინათლებოდა“ ხელისუფლების მხრიდან, მაშინ, როცა რეალურად „გაზპრომი“ რუსული სახელმწიფო კომპანიაა და, თუ შინაარსობრივად ვიმსჯელებთ ეს იქნებოდა პრაქტიკულად საქართველოს სახელმწიფო ქონების რუსეთის სახელმწიფოზე მიყიდვას.

ამ პერიოდში მაინც განხორციელდა კერძო „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მიყიდვა რუსული სახელმწიფო ბანკ „ვნეშტორგბანკზე“ მიყიდვა. ამას კი ქართული მხარის მიერ არათუ წინააღმდეგობა, არამედ გარკვეულწილად ხელშეწყობაც კი ჰქონდა.

ამ კუთხით ვერც 2008 წლის ომმა შეუშალა ხელი, რუსულ კომპანიებს ქართული სტრატეგიული ობიექტების შეეძინათ, კერძოდ 2011 წელს რუსულმა „ინტერ რაო ეს“-მა შეიძინა „ხრამჰესი-1“ და ხრამჰესი-2“ 104 მლნ აშშ დოლარად და დამატებით მიეცა უფლება მდინარე ხრამზე კიდევ სამი ელექტრო სადგური ააშენოს ჯამური ინვესტიციით 193 მლნ აშშ დოლარი.

კიდევ ერთი სტრატეგიულ ობიექტებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მწვავედ დგას საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობების ჩამონათვალში - საქართველოში არსებული გაზსადენია. ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გაზის მაგისტრალური გაზსადენით სომხეთისთვის მიწოდების შესახებ. 2016 წელს დაიწყო მოლაპარაკებები, ტრანზიტის საფასურის გაზის გადახდით სანაცვლოდ, გადახდა განხორციელებულიყო ფულით - გატარებული გაზის 10 პროცენტის ოდენობით. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული წინადადება წამგებიანია, საქართველოს მთავრობა დათანხმდებოდა კიდეც, რომ არა სამოქალაქო და პოლიტიკურ წრეებში დაწყებული საპროტესტო კამპანიისა. თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი წლით გადაიდო და 2017 წელს საქართველოს მთავრობა ამ წინადადებას დათანხმდა. საქართველოს ენერგეტიკის

სამინისტროსა და „გაზპრომს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ცალკეული მუხლები „გრიფით საიდუმლოს“ ატარებს, შესაბამისად თუ რა პრინციპით იხელმძღვანელა ქვეყნის მთავრობამ, როდესაც აღნიშნულ გადაწყვეტილებას ოპტიმალური უწოდა - ბუნდოვანია (პაპავა, 2017).

2.2. „ომის პარადოქსი“

კიდევ ერთი საყურადღებო თემა რომელსაც შევეხებით 2008 წლის აგვისტოს ომი გახლავთ. ის თანამედროვე მსოფლიოს მიერ ერთმნიშვნელოვნად აღიქმება, როგორც რუსეთის მხრიდან განხორციელებული სამხედრო აგრესია. გარდა იმ უარყოფითი ეკონომიკური შედეგებისა, რომელიც საომარ მოქმედებებს სდევს, საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენა იქონია გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც 2008 წლის მეორე ნახევარში აქტიურ ფაზაში შევიდა.

რეალური სურათის უკეთ წარმოსაჩენად გამოვიყენოთ ოფიციალური სტატისტიკა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის იმდროინდელი მთავრობა სტატისტიკის მონაცემებს ხშირად პოლიტიკური დივიდენდების მომტან ინსტრუმენტად იყენებდა ხოლმე.

2008 წელს საქართველოში ეკონომიკის ზრდამ 2,3% შეადგინა, მაშინ როდესაც ბოლო წლების ზრდის ტენდენცია გაცილებით მაღალი იყო. კერძოდ, 2005 წელს 9,6% შეადგინა, 2006 წელს 9,4% ხოლო 2007 წელს კი 12,3% გახლდათ. წლიური ინფლაცია კი 5,5% დაფიქსირდა, ხოლო სურათს ამძიმებდა ის ფაქტიც რომ მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობაზე ყველაზე დიდი წილი სახელმწიფო შესყიდვებს ეკავა, რომელიც 17% შეადგენდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც. თუ კი 2007 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა 2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, იგივე მაჩვენებელი 2008 წელს 1,6 მლრდ აშშ დოლარი გახლდათ და კლების ტენდენცია 2009 წელსაც გაგრძელდა (პაპავა, 2015).

ამ მაჩვენებლების ფონზე ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი სამთავრობო გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო დაამძიმა. კერძოდ, მეცნიერ-ეკონომისტების ერთი

ნაწილის აზრით ქვეყნის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილება შეფასებულია როგორც დაშვებული შეცდომები. საქმე იმაში გახლავთ, რომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი უძრავი ქონების ბაზარზე მიემართებოდა. განხორციელებული ფინანსური რესურსების ნაკადი კი ქვეყანაში არსებული რეალური ეკონომიკის ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. პროცესების ამგვარი განვითარება იწვევდა დისბალანსს და შესაბამისად იქმნებოდა ერთგვარი „ფინანსური პირამიდები“, რომლის რეგულირებისთვის, უკეთეს შემთხვევაში, არაკომპეტენტურობის მიზეზით - არ იქნა გადადგმული. კომერციული ბანკების მიერ მოზიდული საკრედიტო სახსრები კი უმთავრესად სამომხმარებლო და იპოთეკური მიზნებისთვის გაიცემოდა, რაც საქართველოს როგორც არამწარმოებელი, არამედ მომხმარებელი ქვეყნის პირობებში მთლიანად იმპორტირებული საქონლის შესაძენად იქნა მიმართული. ეს კი ქვეყნის ეკონომიკას კიდევ უფრო ამძიმებდა.

გარდა ამისა სახეზე იყო საბიუჯეტო კრიზისიც. მიუხედავად იმისა რომ საბიუჯეტო შემოსავლები გაიზარდა, 2009 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 500 მლნ ლარით საგადასახადო შემოსავლების შემცირების შესახებ, რაც ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების 10,5%-ს შეადენდა. კრიზისს ამძაფრებდა ის გარემოებაც, რომ 2009 წლის გაზაფხულზე, კომერციულ ბანკებს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ 500 მილიონიანი დავალიანება დაუგროვდათ. შესაბამისად, საბანკო კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, როგორც უკანასკნელი კრედიტორი, სახელმწიფო მოგვევლინა, საბანკო სექტორზე გამოყოფილმა თანხამ კი 636 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ჩნდება ლოგიკური კითხვა. ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ინდიკატორების ფონზე რა სახსრებით მოხდა სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული კრიზისული სიტუაციის დაფინანსება?!

პასუხი კი შემდეგში მდგომარეობს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, საქართველომ, როგორც დაზარალებულმა მხარემ, თუ გავითვალისწინებთ გლობალური მასშტაბით შექმნილ მდგომარეობას - უპრეცენდენტო დახმარება მიიღო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. საქმე ეხება 4,55 მლრდ. აშშ დოლარს, საიდანაც 2 მლრდ. აშშ

დოლარი გახლდათ გრანტი, ხოლო დანარჩენი შეღავათიანი კრედიტი. აღნიშნული დახმარება მოიცავდა სხვადასხვა პერიოდულობით განხორციელებულ ტრანშებს რომელიც 2008 წლიდან 2010 წლის ბოლომდე გაგრძელდა.

2007-09 და შემდგომ წლებში, სხვადასხვა გამოცემებში მრავლად მოიძებნება ეკონომისტთა ერთი ჯგუფის მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „საქართველომ გლობალური ფინანსური კრიზისი ვერ იგრძნო“, „ვინაიდან კრიზისმა ფინანსური სფეროდან იფეთქა და ჩვენთან ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ არის განვითარებული“, „საქართველო მხოლოდ უარყოფითი სავაჭრო ბალანსით არის ჩართული გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში“...

მიუხედავად აქ ჩამოთვლილი მიზეზების მიხედვით წარმოთქმული პოზიტიური შეფასებებისა, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები სამწუხაროდ ამით არ მთავრდება. მხოლოდ 2009 წლის პირველი ნახევრის მთლიანი სამამულო პროდუქტი, 2008 წლის იგივე პერიოდის 89,3% შეადგენდა, ხოლო 2009 წლის მთლიანი სამამულო პროდუქტის დაქვეითება 2008 წელთან მიმართებით 3,8% გახლდათ. მაშინ, როცა მრეწველობაში ქვეყნის 10 უმსხვილესი საწარმო ამცირებს ან წყვეტს წარმოებას სახელმწიფო, მაგალითად, ქიმიური კომბინატი „აზოტისაგან“ იძენდა სასუქს. ეს კი თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს სახელმწიფო დოტაციების გაცემას, რაც არის კიდეც „ნეკროეკონომიკის“ კლასიკური მაგალითი (პაპავა, 2010).

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2009 წელს შეიმუშავა „ახალი ფინანსური პაკეტი“, რომლის ძირითადი ბენეფიციარები საბანკო და სამშენებლო სექტორი გახლდათ. საქმე ეხებოდა 260 მილიონი ლარის სამთავრობო ობლიგაციების გამოშვებას, რომლებიც ინფრასტრუქტურულ პროექტებში უნდა დაბანდებულიყო. სამთავრობო ობლიგაციების ძირითადი მომხმარებელი კი კომერციული საბანკო სექტორია, რაც ქმნის სტიმულს, ფინანსური კრიზისის პირობებში საბანკო სექტორისთვის დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით. აღნიშნული პაკეტი ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მერიის მიერ საბანკო გარანტიების გაცემას სამშენებლო კომპანიებისთვის, რომლებიც ძველი თბილისის რეაბილიტაციის მიზნით კომერციულ ბანკებს მიმართავდნენ. აღნიშნული ანტიკრიზისული პროგრამა, „ძველი

თბილისის ახალი სიცოცხლე“ 2009 წლის ივლისში დამტკიცდა. გაცხადებული მიზანი კი ერთდროულად რამდენიმე მიმართულების სტიმულირებისთვის იყო გამიზნული. ეს, ერთი მხრივ, ეხმარებოდა საბანკო სექტორს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ფინანსური რესურსების გაძვირების ფონზე, ხოლო, მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი კლება შეინიშნებოდა, ასევე შემცირდა უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების ოდენობა. თანაც, კრიზისამდე არსებულმა სამშენებლო ბუმმა ქვეყანაში ამ სექტორის მკვეთრი განვითარება გამოიწვია, ხოლო კრიზისის პირობებში მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. გასათვალისწინებელი ფაქტორია, რომ სამშენებლო კომპანიების ან/და მოქალაქეების უკან ხშირად კომერციული ბანკები იდგნენ. ეს კი ჩვენ მიერ ზემოთხსენებული „ფინანსური პირამიდის“, არათუ შემაკავებელი ინსტრუმენტი, არამედ მასტიმულირებელი ფაქტორია, რომ არაფერი ვთქვათ, ამ პროგრამის ბიუროკრატიული ხასიათის შეცდომებზე, რომელიც საკონკურსო პირობების არაჯეროვანად ჩამოყალიბებაში გამოიხატებოდა.

ადგილი ჰქონდა ერთი პრინციპული ხასიათის შეცდომას. კერძოდ, თბილისის მერია სამშენებლო კომპანიების გარანტორად გამოდიოდა, მიუხედავად მათ მიერ საკრედიტო ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზისა, რაც უკეთეს შემთხვევაში, სამშენებლო კომპანიებისთვის დამატებით არაკეთილსინდისიერ მოტივაციის აღძრავდა, ხოლო უარეს შემთხვევაში სამთავრობო ჩინოვნიკებისთვის კი - ქალაქის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის იმპულსს.

ამ ანტიკრიზისული პროგრამის ფაქტობრივი გარემოების თანახმად კი ქალაქის ბიუჯეტს მოუწია არამხოლოდ ძველი თბილისის განვითარების პროექტებისთვის ბიუჯეტიდან თანხების გადახდა, არამედ დამატებით ამ პროექტებზე გაცემული სესხების მიმართ საპროცენტო სარგებლისაც. ეროვნული ბანკის მონაცემებით 2009 წლის საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 17,2% დან 21,7% მდე მერყეობდა. მოცემული წელს ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა კი 53 მლნ ლარს შეადგენდა. აქედან გამომდინარე გამოდის რომ დაახლოებით 7,8 მლნ ლარიდან 9,5 მლნ ლარამდე მხოლოდ საბანკო პროცენტი გადახდილა ბიუჯეტიდან.

ანალოგიური სქემის მიხედვით მოხდა 2010 წლის პროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაც. მხოლოდ 2011 წელს შეიცვალა აღნიშნული მიდგომის წესი და რეალური საგარანტიო ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა.

აღნიშნული მექანიზმებით სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები ქვეყნის ეკონომიკაში იწვევს „ფინანსური პირამიდების“ და ეკონომიკური სუბიექტების „ზომბირების“ პროვოცირებას. ეს საშიშროება კი დამატებით საფრთხეებს პოსტკომუნისტური, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს (პაპავა, 2010).

ახლა კი თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, რომ საქართველოში გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგები გაცილებით ცუდ შედეგებს გვიქადდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური მხარდაჭერა. მოვლენების ანალიზი კი გვიჩვენებს, თუ რატომ უწოდებს ვლადიმერ პაპავა საქართველოს 2008-09 წლების ეკონომიკურ მდგომარეობის შეფასებისას, რომ „ომი თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის მას თავისი, თუ შეიძლება ითქვას დადებითი მხარეც ჰქონდა, რაც ფინანსური მხარდაჭერით გამოიხატა. შედეგად მივიღეთ **„ომის პარადოქსი“**“ (პაპავა, 2015, გვ. 168)

დასასრულს კი, 2008 წლის ეკონომიკური მოვლენების ანალიზის დროს, ვფიქრობ მეტად საგულისხმო დეტალზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. კერძოდ, ამ საბედისწერო წლის აპრილში, ლონდონის ბირჟაზე 5 წლიანი ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით, საქართველომ აიღო ყოვლად გაუმართლებელი 500 მლნ აშშ დოლარის მოცულობის საგარეო ვალი. ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ცივილიზებული ინსტრუმენტი გამოიყენა, აშკარად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის აპრილის ბოლოს, ანუ როდესაც ეს ვალი იქნა აღებული საქართველოს ბიუჯეტი დეფიციტური არ იყო, ობლიგაციების გადახდის ვადა კი 5 წლით განისაზღვრა. მთავრობის განმართებით კრედიტი გამოყენებული იქნებოდა გაზსაცავის ან მაღალი ძაბვის ელექტრო-გადამცემი ხაზების მშენებლობაზე და მომავლის განვითარების ფონდებში. ხოლო მოგვიანებით, როდესაც დაისვა კითხვა აღნიშნული თანხების მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით,

მთავრობის პასუხი იყო, რომ აღნიშნული თანხები აგვისტოს ომის შედეგებთან საბრძოლველად იქნა გახარჯული, თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, აგვისტოს ომის შედეგების გათვალისწინებით საქართველოს, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საკმაოდ სოლიდური დახმარება ერგო წილად. 2011 წლის აპრილში კი მოულოდნელად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 500 მლნ აშშ დოლარის ობლიგაციების ემისიის შესახებ საიდანაც 417 მლნ 2008 წლის ევროობლიგაციების დასაფარად მიემართა, ხოლო დარჩენილი 83 მლნ აშშ დოლარით საგარეო ვალი გაიზარდა.

2.3. მსოფლიო სვაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანება და საქართველოს ფაქტორი

როგორც მოგეხსენებათ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) გახლავთ ერთადერთი გლობალური მასშტაბის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის წესებს არეგულირებს და მისი მიზანია ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი 1993 წლიდან ცდილობდა გამხდარიო WTO-ს წევრი და მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანების საშუალო ვადა გახლავთ ექვსი წელი რუსეთს ეს პროცესი გაუჭიანურდა. ამის მიზეზი კი იყო რუსეთის მიერ არათანმიმდევრული საერთაშორისო პოლიტიკის გატარება წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში. ვინაიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის ყველა წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერაა საჭირო - რუსეთს სამჯერ მეტი დრო დასჭირდა გაწევრიანებისთვის. ამ 19 წლიანი პროცესის უკანასკნელი დაბრკოლება კი საქართველო გახლდათ, რომელიც WTO-ს 137-ე სრულუფლებიანი წევრი გახლავთ 2000 წლის 14 ივნისიდან. სხვადასხვა გაანგარიშების მიხედვით, მაქსიმალური მოგება, რომელიც შესაძლოა რუსულ კომპანიებს მიეღოთ აღნიშნული ორგანიზაციის წევრობის ხარჯზე - შეფასებული იყო 23 მლრდ. აშშ დოლარად, მაშინ როცა რუსეთის ბაზარზე თავისუფალი ვაჭრობის შედეგად სხვადასხვა კომპანიების შემოსვლას 90 მლრდ. ზარალი შეეძლო მოეტანა წელიწადში. აქედან გამომდინარე, ერთადერთი მოტივი რომელიც რუსეთს შესაძლოა ამოძრავებდეს, გახლავთ ის ფაქტი, რომ იგი გახლდათ G-8 და G-20 ფორმატის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც არ გახლდათ WTO-ს წევრი. თუ, ამას დავუმატებთ რუსეთის წარმოდგენებს, როგორც მსოფლიო წესრიგის ერთ-ერთი შემომქმედის, ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის და ეკონომიკური ფორუმის წევრად არყოფნა, სადაც გლობალური სავაჭრო რეგულაციები მიიღება - მის იმპერიალისტურ გეგმასთან შეუსაბამოა.

მას შემდეგ რაც 2000-იანი წლების დასაწყისიდან კვლავ აქტუალური გახდა რუსეთის გაწევრიანების საკითხი, საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი

ქვეყნის პოზიცია იყო შემდეგი: საქართველო ყოველთვის მზად იყო მხარი დაეჭირა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის, თუ მოსკოვი მისცემდა თბილისს შესაძლებლობას გაეხსნა საბაჟო-გამშვები პუნქტები საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. საქართველოს პოზიცია ემყარებოდა აზრს, რომ ორ ქვეყანას შორის ტვირთების მიმოსვლა უნდა ხდებოდეს ეროვნული საბაჟო კანონმდებლობებით, რაც სეპარატისტული მთავრობების არსებობის პირობებში, რომელსაც მოსკოვი უჭერდა და დღემდე უჭერს მხარს - ვერ ხორციელდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისისთვის, როცა ეს პირობა იყო გაჟღერებული საქართველოს მხრიდან, რუსეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარებული.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რაც რუსეთმა ორი სეპარატისტული რეგიონის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიარა, აღნიშნული საკითხი უფრო მკაფიოდ დადგა დღის წესრიგში. უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის პოზიცია ამ მოლაპარაკებებში იყო შეუქცევადი. იგი ეფუძნებოდა ომამდე არსებულ პირობას, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს ქვეყანას დამატებით ბენეფიტად შეიძლება ჩაითვალოს. კერძოდ, თუ ოფიციალური მოსკოვი, უფლებას არ მისცემდა საქართველოს, ორ ქვეყანას შორის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში განეხორციელებინა საბაჟო-გამშვები პუნქტების ფუნქციონირება, საქართველო მხარს არ დაუჭერდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

2011 წელს, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ პირველად, შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში საქართველოს და რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის, შვეიცარიის მხარის შუამავლობით შედგა მოლაპარაკებები რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რომელიც დასრულდა კომპრომისული შეთანხმებით: საქართველო და რუსეთის ფედერაცია შეთანხმდნენ, რომ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე ტვირთების მოძრაობას ნეიტრალური კომპანია გააკონტროლებდა. ამ ნეიტრალურ კერძო კომპანიას საქართველოსა და რუსეთის ფედერაციასთან კონსულტაციის საფუძველზე, შეარჩევდა შვეიცარიის კონფედერაცია. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება

არ ახსენებს არცერთ გეოგრაფიულ დასახელებას, ტექსტში მხოლოდ გეოგრაფიული კოორდინატებია მითითებული. შეთანხმების თანახმად, ჩამოყალიბდა სამი სავაჭრო დერეფანი: ადლერი - ზუგდიდი, სოფელი ნარი (ჩრდილოეთ ოსეთი) - გორი და ყაზბეგი - ზემო ლარსი. ამ დერეფნებში შემავალი და გამომავალი ტვირთის მონიტორინგი დაევალა ნეიტრალურ კერძო კომპანიას. მხარეები შეთანხმდნენ ამ სავაჭრო დერეფნებში სავაჭრო საქონლის საბაჟო ადმინისტრირებისა და მონიტორინგის მექანიზმის შექმნაზე, რომლის ფუნქციებშიც შევიდოდა ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მონაცემთა ურთიერთგაცვლა, კრიმინალისა და კონტრაბანდის პრევენცია, საეჭვო ტვირთების განმეორებითი დათვალიერება. საქართველო და რუსეთის ფედერაცია შეთანხმდნენ, რომ მექანიზმი მოიცავს როგორც ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემასა (EDES), ასევე საერთაშორისო ზედამხედველობის სისტემას (IMS). თუმცა, აღნიშნული შეთანხმება მოქმედებს მხოლოდ სახმელეთო ტვირთბრუნვაზე და არ ითვალისწინებს საჰაერო და საზღვაო გადაზიდვებს, რომლებიც ფაქტობრივად ამ კონტროლის მექანიზმის მიღმა დარჩა. (ხატიაშვილი, 2016)

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმის აეროპორტის მეშვეობით მხოლოდ სამგზავრო და სამხედრო გადაზიდვების შესრულება არის შესაძლებელი, არსებობს საზღვაო გადაზიდვის მექანიზმი, საერთაშორისო მონიტორინგის გვერდის ავლით. ასევე აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას სავაჭრო ურთიერთობები არა მარტო რუსეთთან აქვს, არამედ თურქეთთანაც, რაც ასევე სცილდება ზემოთხსენებული შეთანხმების შედეგად განხორციელებულ კონტროლს.

ამ მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულმა კომპრომისულმა შეთანხმებამ, ერთი მხრივ, გახსნა რუსეთის ბაზარი ქართველი მეწარმეებისთვის და გააჩინა ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესების, შემდგომი განვითარების შესაძლებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არასოდეს დათმობს ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია კი საქართველოსთვის არის დამატებითი ბერკეტი, რუსეთის მხრიდან სავაჭრო ურთიერთობების, შესაძლო პოლიტიკური მიზნით გამოყენების წინააღდეგ. ამის

სამწუხარო მაგალითი კი იყო რუსეთის მთავარი სანიტარის გადაწყვეტილება, ქართული პროდუქციისთვის ბაზრის ჩაკეტვის შესახებ.

რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, ქართულ კომპანიას, რომელსაც აქვს ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი და დაშვებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე, ამის მიუხედავად კი მაინც არ დაუშვებს რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის სამსახური ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე, თბილისს შეუძლია, უჩივლოს მოსკოვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მანამდე კი ეს საკითხი WTO-ს უბრალოდ არ ეხებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დინამიკა სავსეა რუსეთის მხრიდან განხორციელებული არაერთი ოპორტუნისტული ქცევის მაგალითებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის მთავრობასთან ეკონომიკური ურთიერთობები არ ემყარება ინსტიტუციურად მყარ გარანტიებს.

ამ შეთანხმებას რამდენიმე დადებითი მხარე აქვს. მაშინ, როცა 2011 წელს რუსეთში ექსპორტი მთლიანი ექსპორტის 1,67 პროცენტს შეადგენდა, ნაშრომის 2.1 თავში ავღნიშნეთ, რომ 2013 წლიდან ექსპორტის ზრდის ტემპი შეინიშნება. იგივე შეიძლება ითქვას იმპორტზეც. 2011 წლის მონაცემი 5,5% 2013 წელს 7,28% გახდა, ხოლო 2018 და 2018 წლებში კი 10 პროცენტზე მეტი. რაც შეეხება იმპორტს - თუ 2011 წელს რუსეთიდან იმპორტი მთლიანი იმპორტის 5,5 პროცენტს შეადგენდა, 2013 წელს 7,5 პროცენტი იყო და იგი 1,5-ჯერ გაიზარდა.

ასევე, დამატებითი პოზიტიური ფაქტორი გახლავთ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო მონიტორინგის პირობებში ტვირთბრუნვის კონტრაბანდული გადაზიდვები მინიმუმადე იქნება დაყვანილი. პოლიტიკური თვალსაზრისით კი შეთანხმება გახლავთ ერთგვარი დასტური იმისა, რომ რუსეთი აღიარებს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული ფაქტორი ეწინააღმდეგება, როგორც რუსეთის, ისე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობების გეგმებს. თუმცა, ისეთი საერთაშორისო ფორმატის ფარგლებში, როგორიცაა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რუსეთი იძულებული გახდა გაეთვალისწინებინა საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობა და თუნდაც სავაჭრო-

ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში, აღიარა საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

თავი 3. საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი

გასული საკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საუბრები იმის შესახებ, თუ რომელი გზით უნდა იაროს დამოუკიდებელმა საქართველომ, აქტუალობას არ კარგავს. საკითხი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური წრეების დაპირისპირების საგანი. დღემდე არსებული მთავრობები და პოლიტიკური პარტიები თავის წინასაარჩევნო დაპირებებში სწორედ საქართველოს საგარეო კურსის შესახებ და უფრო კონკრეტულად, ორ ალტერნატივას შორის საკუთარი ხედვების იმდაგვარად, ამომრჩევლამდე მიტანას გულისმოხბს. პათოსი თითქმის არცერთი მთავრობის მხრიდან არ შეცვლილა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ორი ძირითადი მიმართულება იკვეთება. კერძოდ, ესაა საქართველო-რუსეთის და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები და დისკუსია საზოგადოების სხვადსხვა წრეებში, იმის შესახებ, თუ, რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და, შესაბამისად, რომელი ვექტორით უნდა განვითარდეს ქვეყანა - ჩრდილოეთით თუ დასავლეთით, თითქმის ყოველდღიურად გვხვდება.

ევრაზიული ეკონომიკურ კავშირის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა 2011 წელს განაცხადა, რაც ექსპერტთა აზრით ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან ჩამოყალიბებული ევრაზიისტული დოქტრინის საფუძვლებს ემყარება.

ევრაზიისტული ეკონომიკური მოდელის თანხმად ეკონომიკა ეფუძნება არა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, არამედ „ბაზრის მქონე საზოგადოებას“, როცა მესაკუთრემ უნდა იხელმძღვანელოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებით და ორიენტირდეს სოციალური პასუხისმგებლობით.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირი ეფუძნება პრინციპს როდესაც კავშირის შიგნით საექსპორტო ბაჟი არ გადაიხდევინება და ამა თუ იმ რესურსის ფასი კავშირში

შემავალი ქვეყნებისთვის, ამ ბაჟის ოდენობით მცირდება და, იგი მხოლოდ კავშირის საზღვრის გადაკვეთისას მომედებს. ვინაიდან რუსეთის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია ნავთობი და გაზია მათგან მიღებული შემოსავლების წევრ ქვეყნებზე გადანაწილება არის გაწევრიანების მთავარი ეკონომიკური მოტივი. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ეკონომიკა ევრაზიულ კავშირში შემავალი ქვეყნების საერთო მაჩენებლის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად ნავთობის და გაზით მიღებული შემოსავლების გადანაწილება რუსეთს ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და მისთვის ეს ეკონომიკურად წამგებიანი და გაუმართლებელ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, შემოსავლების ასეთი გადანაწილების პირობებში მოსკოვის ხელში გადადის მნიშვნელოვანი, ეკონომიკური შინაარსის პოლიტიკური ინსტრუმენტი. იმავდროულად რუსეთის საქვეყნოდ ცნობილი იმპერიალისტური ამბიციების ნათელ მაგალითს წარმოადგენს და გარკვეულწილად ერთგვარ „მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირამდეც“ კი მივდივართ. რუსეთი, თავისი ენერგეტიკული რესურსებით, თითქმის უალტერნატივო მონოპოლისტია ევროპის საკმაოდ დიდი ნაწილისთვის და ამ კუთხით ხშირია ისეთი მაგალითები, როდესაც „პოლიტიკური ფასი“ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანისთვის არასასიამოვნო, მაგრამ „სავალდებულო“ გადასახდელი გამხდარა (Папава, 2008).

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი, კერძოდ 2014 წლის ყირიმის ანექსიის შედეგად დაწესებული სანქციების საწინააღმდეგოთ შემოღებული ანტი-სანქციები. ვინაიდან ეს სანქციები ევრაზიული კავშირის ქვეყნებზე არ მოქმედებს, წარმოშობს იმის ალბათობას რომ რუსეთის ბაზარზე მაინც მოხვდეს ეს საქონელი. ამ პირობებში კი ირღვევა ერთიანი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიის მთლიანობა.

„სანქციები - ანტი-სანქციების“ პირობებში, საიდანაც ეს უკანასკნელი, კვლევების თანახმად ისევ რუსეთის ეკონომიკისთვის გახდა საზიანო და ასევე ენერგომატარებლებზე ფასების კლების ტენდენციის გათვალისწინებით, მას არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ფაქტობრივად ერთგვარ უტოპიას წარმოადგენს.

ხშირად, როდესაც საქართველოს მხრიდან შესაძლო არჩევანზეა საუბარი, მოვისმენთ არგუმენტს, რომ ჩვენი ქვეყანა ერთხელ უკვე იყო გაწევრიანებული საბჭოთა

კავშირში და ამ ტიპის, თუნდაც „მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირში“ აღარ უნდა დაბრუნდეს. თუმცა, მხოლოდ ეს ერთი შეხედვით პრიმიტიული არგუმენტი არ არის საკმარისი რეალური დასკვნების გასაკეთებლად. საჭიროა განხილულ იქნას, თუ რა შესაძლო საფრთხეების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა. სახელმწიფოს ეკონომიკურ ვექტორის ანალიზისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი, იქნება ეს ისტორიული, თუ განვითარების პერსპექტივა. აუცილებელია აღინიშნოს რომ სახელმწიფოთა ნებისმიერი გაერთიანება ეფუძნება ეკონომიკურ შემადგენელს, რომლის არსებით სხვაობები, ევროკავშირსა და ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია. განვიხილოთ და შევადაროთ რამდენიმე მათგანი (პაპავა, 2016):

შექმნის მიზანი - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შექმნის მიზანია, შემოსავლების გადანაწილებით, რუსეთის მიერ პოლიტიკური გავლენების გაძლიერება წევრ სახელმწიფოებზე და მიუხედავად მისი დასახელებისა რომელი შეიცავს სიტყვას „ეკონომიკური“, რეალურად შორსაა ეკონომიკური შინაარსისგან და ერთგვარ პოლიტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ დროს, ევროკავშირი, თავიდანვე შეიქმნა როგორც საბაჟო კავშირი და ამ გაერთიანების მთავარი მიზანია წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა - ამ კომპონენტში საქმე გვაქვს აშკარა სხვაობასთან. ევროკავშირის წევრი ქვეყნები, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გარდა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, წარმოადგეს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთობლიობას, ხასიათდება მაღალი ტექნოლოგიებით სამრეწველო წარმოებაში და მომსახურების სფეროს მაღალი ხარისხით და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ერთობლიობა კი კლასიკური გაგებით პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად გვევლინებიან. ხოლო ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შედიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, სადაც აშკარად იკვეთება ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და საბაზრო ინსტიტუტების არასრულყოფილება და ეს ქვეყნები მიეკუთვნება პოსტსაბჭოთა პოსტინდუსტრიული ქვეყნების რიცხვს, თავისი არასრულფასოვანი საბაზრო მექანიზმების არსებობის თვალსაზრისით.

კორუფციის დონე - თვალსაჩინოებისთვის საუკეთესო მაგალითია საერთაშორისო კვლევები. მაგალითისთვის, საერთაშორისო გამჭირვალობის (Transparency International)

მიერ 2014 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად გამოქვეყნდა კორუფციის აღქმის ინდექსები მსოფლიოს 175 ქვეყანას შორის. ამ კვლევაში, კორუფციის ყველაზე დაბალი დონე, ევროკავშირის წევრ ქვეყანაში - დანიაში დაფიქსირდა და ის ამ რეიტინგში პირველია, ხოლო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო ცუდი შედეგი კორუფცის აღქმის თვალსაზრისით რუმინეთშია და ის ამ რეიტინგში 69=ე ადგილს იკავებს. რაც შეეხება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ანალოგიურ მონაცემებს = ყველაზე კარგი შედეგი აქვს სომხეთს, რომელიც ამ რეიტინგში 94-ე ადგილს იკავებს და ყველაზე უფრო ცუდი რუსეთში და ყირგიზეთშია და ისინი 136-ე ადგილს იყოფენ (პაპავა, 2016, გვ 10). რაც შეეხება საქართველოს, ის ამ რეიტინგში 50-ე ადგილზეა და თუ გავითვალისწინებთ ლატვიის 48-ე და ჩეხეთის 53-ე ადგილებს, უფრო მეტად ევროკავშირის სტანდარტებთან გვაქვს საქმე ვიდრე ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა.

გაწევრიანების სირთულე - ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებას, პოსტსაბჭოთა ქვეყნის მხრიდან მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოვლენაა საჭირო, რაც ამ კავშირის შექმნის ზემოთხსენებულ იდეასთან პირდაპირ კავშირშია. ევროკავშირში გაწევრიანება კი გულისხმობს ბრიუსელის მიერ დაწესებული გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებას, დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის, სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების, საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის დაკმაყოფილებას. აპლიკანტი ქვეყანა ყველა ზემოთჩამოთვლილს სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, მის ევროკავშირში ინტეგრაციის მისაღწევად.

იმავდროულად, ქვეყანაში ამ სტანდარტების დანერგვის და გაძლიერების კუთხით ევროკავშირი მიმართავს სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებს, ისეთებს როგორიცაა აღმოსავლეთის პარტნიორობა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ამ მიმართულებით საკმაოდ ნაყოფიერი ნაბიჯები გადადგა და მას ევროკავშირთან უკვე აქვს ასოცირების შეთანხმება, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და ევროკავშირთან დაახლოვების მიზნით, იგი ზემოთხსენებულ ორივე საერთაშორისო ფორმატში, აქტიურად იღებს მონაწილეობას.

„განზომილების ბარიერი“ - ცნობილი რუსი ეკონომისტის რუსლან გრინბერგის აზრით (Гринберг,2013), ქვეყნების ის გაერთიანება, სადაც მეტ-ნაკლებად თანაბარზომიერებაა გამოხატული, უფრო მეტი წარმატებისკენ არის მიმართული, და თავად ასეთი გაერთიანებაც უფრო გაადვილებულის, რადგან სახელმწიფოები გაერთიანების დროს უფრო მარტივად თანხმდებიან, თუ რა სფეროში შეიძლება მართვის სადავეები გადაცემულ იქნეს ზეეროვნული სტრუქტურებისთვის და, სად არიან მზად დათმონ ეროვნული სუვერენიტეტის შემადგენელი კომპონენტი. მისი აზრით, დიდ სახელმწოფოს ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა დათმოს სუვერენიტეტის იგივე ნაწილი, რაც ზომით შედარებით მცირე სახელმწიფომ და მას უჩნდება სურვილი მისი მხრიდან შედარებით ნაკლები დათმობები განხორციელოს, რაც მას დომინანტური მდგომარეობის შენარჩუნების საფუძველს მისცემს დანარჩენ სახელმწიფოებთან მიმართებით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მეტ-ნაკლები თანაბარზომიერება შეინიშნება და ამ კავშირის წარმატების ერთერთი საწინდარიც სწორედ ესაა. რუსეთის „განზომილების ბარიერი“ გაცილებით დიდია. მაგალითად, მისი ეკონომიკის წილი დამოუკიდებელ თანამეგობრობის ეკონომიკასთან მიმართებით დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შემთხვევაში აღნიშნული ბარიერი კიდევ უფრო მაღალი - 82 პროცენტზე მეტია.

ამ თავში მოყვანილი არგუმენტები ცხადყოფს, რომ საქართველოსთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანი ევროკავშირია, სადაც საბაზრო ეკონომიკა, ისევე როგორც დემოკრატიული ინსტიტუტები გაცილებით მეტადაა განვითარებული და ზემოთ ჩამოთვლილი დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრება ქვეყნის მოსახლეობის ღირსეულად ცხოვრების და ეკონომიკური განვითარების უალტერნატივო არჩევანია.

როდესაც საუბარია ეკონომიკური განვითარების ევროპულ გზაზე, ერთ-ერთი უმთავრესი და საყურადღებო საკითხია, საქართველოში არსებული კონფლიქტური რეგიონები, მათი გავლენა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე და ევროპული გამოცდილება, რომელიც მოიცავს სამი სახელმწიფოს, ფინეთის, სერბეთის და კვიპროსის მაგალითებს (პაპავა, 2015).

ფინეთის მაგალითი - 1940-იანი წლების დასაწყის ში ფინეთმა ვერ გაუძლო საბჭოთა კავშირის სამხედრო და პოლიტიკურ წნეხს და მას ტერიტორიის 10 პროცენტი დაუთმო, ხოლო ამ ფასად მოპოვებული სიმშვიდის პირობებში ფინეთმა შეძლო ეკონომიკურ განვითარებაზე აეღო ორიენტირი და დღეს იგი ევროკავშირის მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს. ფინეთის სცენარით მოვლენების განვითარება ნაკლებ სავარაუდოა, რადგან საქართველო, თავისი მენტალობიდან გამომდინარე არასოდეს შეეგუება საკუთარი სუვერენიტეტის შელახვას და ქვეყნის ისტორიული მნიშვნელობის მიწების - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკუთარი ნებით დათმობას

სერბეთის მაგალითი - წარმოადგენს საქართველოსთან ერთგვარ მსგავსებას სახელმწიფო არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით. სერბეთის ყველაზე პროდასავლური ძალებიც კი სახელმწიფო სუვერენიტეტის, დასავლეთის მხრიდან შელახვის მკაცრი მოწინააღმდეგეა. სერბეთთან მიმართებაში, სცენარი არის განსხვავებული. საქართველოსგან განსხვავებით კოსოვოს დამოუკიდებლობა აშშ-ბმა და ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა სცნეს და მიუხედავად ამ აღიარებისა ყველა აცნობიერებს, რომ, თუ ბელგრადის მხრიდან არ მოხდება ამ აღიარებისთვის „მწვანე შუქის“ ანთება, ისევე როგორც მთელ რეგიონში უსაფრთხოების, ასევე აღიარების სანაცვლოდ შეთავაზებული ევროატლანტიკურ სივრცეში სრულ ინტეგრაცია - აზრს კარგავს. იმის გამო რომ საქართველოს შემთხვევაში აბსოლუტურად განსხვავებულია განვითარებული სახელმწიფოების მიერ გაცხადებული მხარდაჭერა - ეს მაგალითიც საქართველოსთან შეუსაბამოა.

კვიპროსის მაგალითი - 40 წელზე მეტი ხნის წინ თურქეთმა სამხედრო ძალების გამოყენებით შეძლო ჩრდილოეთ კვიპროსის გამიჯვნა სამხრეთისაგან, რასაც თურქეთის მხრიდან ამ რეგიონის სახელმწიოებრივი დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება მოჰყვა. ეს შემთხვევა ყველაზე უფრო ახლოს დგას საქართველოში არსებულ რეალობასთან. კერძოდ, ცივილიზებულმა სამყარომ არ სცნო ანკარის ეს გადაწყვეტილება და ქვეყნის სამხრეთმა ნაწილმა მოახერხა საბაზრო ეკონომიკის იმ დონემდე განვითარება რომ მიმზიდველი გამხდარიყო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილისთვის. კონფლიქტური რეგიონის არსებობამ და საერთაშორისო მხარდაჭერამ ხელი არ შეუშალა კვიპროსს გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. სწორედ ამიტომ კვიპროსი ნათელი

მაგალითია იმისა, რომ სწორი პოლიტიკური და ეკონომიკური ვექტორის არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირში ინტეგრაცია, სეპარატისტული რეგიონების მიუხედავად შესაძლებელია.

საქართველომ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებს მიაღწია ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით, რომელთა შორის ყველაზე გამორჩეულია ასოცირების ხელშეკრულება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ინტეგრაციას ზემოთ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები, გაწევრიანების სირთულეები ახლავს. ეს კი კვლავ რჩება ქვეყნის მთავარ გამოწვევად, თუმცა მისი სრულფასოვნად განხორციელებისთვის, ბოლო პერიოდში არაერთი სამთავრობო გეგმა შემუშავდა. იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების გარკვეულმა ნაწილმა უკვე წარმატებით გაიარა ეს გზა, დანერგა რა ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მექანიზმები და დღეს უკვე ამ გაერთიანების სრულფასოვანი წევრია.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ერთიანი ეკონომიკური მოდელი ჩამოყალიბების პროცესშია და როგორც ამას ფრანგი ეკონომისტი მიშელ ალბერი აღნიშნავს, ევროკავშირში ერთმანეთს უპირისპირდება კაპიტალიზმის ორი მოდელი - *ანგლო-ამერიკული* და *რეინის*, ანუ *გერმანულ-იაპონური* მოდელი (პაპავა, 2015).

ანგლო-ამერიკული მოდელი გულისხმობს განვითარებულ ფინანსურ ბაზრებს, სადაც ბირჟების დახმარებით სააქციო კაპიტალის ხელიდან ხელში მოძრაობა სწრაფად და დაბრკოლებების გარეშეა შესაძლებელი, ხოლო აქციათა დიდ ნაწილს სადაზღვევო და საპენსიო ფონდები ფლობენ. ამ მოდელში სახელმწიფოს როლი სოციალურ სფეროში საკმაოდ ლიბერალურია და სიღარიბე აღიქმება როგორც კერძო ქველმოქმედების სფერო და მორალურ ხასიათს ატარებს, ხოლო უთანასწორობა კონკურენციის ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეული, სახელმწიფო სექტორი კი შედარებით შეზღუდულობით გამოირჩევა.

რენინის მოდელში პირიქით - სახელმწიფოს როლი კონკურენციისა თუ სოციალური საკითხების მოგვარებაში საკმაოდ დიდია. აქ ფინანსური ბაზრები ნაკლებად მოქნილია და სააქციო კაპიტალი, რომელიც ძირითადად საბანკო სექტორის კუთვნილებაა, ნაკლებად მოძრავი და უფრო სტაბილურობით არის გამორჩეული ხოლო

სახელმწიფოს როლი მთლიანი სამამულო პროდუქტის გადანაწილებაში საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებს.

ვინაიდან ერთიანი ეკონომიკური მოდელი ევროკავშირში არ არსებობს, ადგილი აქვს ზემოთხსენებული ეკონომიკური მოდელების, ერთგვარი შეპირისპირების სახით ტრანსფორმაციას და ამ ორი ეკონომიკური მოდელის საერთო ნორმებამდე დაყვანას, რაც გამოიხატა კიდეც „ევროზონის“ შემოღებით და ერთიანი ბაზრის პრინციპის ფორმირებით.

ევროკავშირის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგეს „მიღწეულის შენარჩუნება“ რაც ინტეგრაციის თვალსაზრისით, კანდიდატი ქვეყნისთვის ევროკავშირთან საერთო ნორმების მიღწევის უზრუნველსაყოფად სავალდებულოდ შესასრულებელი ხასიათს ატარებს.

ამ ორი ეკონომიკური მოდელის შემადგენელი ელემენტების თანაარსებობა საქართველოშიც შეინიშნება. კერძოდ, საწარმოთა დაფინანსების კუთხით რეინის მოდელი გვაქვს სახეზე, როდესაც საფინანსო ბაზრები ნაკლებად აქტიურია, ხოლო საკუთრების დიდი ნაწილი საბანკო სფეროს განეკუთვნება. რაც შეეხება ანგლო-ამერიკული მოდელის ელემენტებს, აღსანიშნავია სიღარიბისა და უთანასწორობის შესახებ, ბოლო პერიოდში არსებული გულგრილობა. ზოგიერთ შემთხვევაში კერძო სექტორის მხრიდან განხორციელებული იძულებითი ქველმოქმედება და სახელმწიფო რეგულირების სფეროს მკვეთრად გამოხატული შეზღუდულობა.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესი მნიშვნელოვნად ახალ ეტაპზე 2008 წლის საქართველო-რუსეთს შორის ომის შემდგომ გადავიდა, რაც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზებით დაიწყო. აღსანიშნავია რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისთვის საქართველოს გარკვეული ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას ავალდებულებდა, რაც კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნას და მომხმარებელთა უფლებების დაცვაში გამოიხატებოდა. სამწუხაროდ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს რეფორმები განხორციელდა მხოლოდ 2012 წელს მთავრობის ცვლილების შემდეგ. უნდა ითქვას რომ ამ პერიოდის შემდეგ საქართველოში ევროკავშირთან ინტეგრაციის

თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაც საბოლოოდ 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით, წარმატებით დასრულდა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალი სტანდარტების ერთობლიობაა, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებას და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა. ის, აგრეთვე, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. შეთანხმების IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვ.) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი, რომელიც უკანასკნელი

პერიოდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. (ბურკაძე, მამულაშვილი, 2015)

დასკვნა

საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები სავსეა არასახარბიელო ისტორიული გამოცდილებით და რუსეთის მხრიდან საყოველთაოდ ცნობილი იმპერიალისტური, იდეოლოგიით არის განპირობებული, რაც საქართველოსთან მიმართებაში ჯერ სეპარატისტული მთავრობების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით, ხოლო შემდგომ „ლიბერალური იმპერიის“ ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური ექსპანსიით, საბოლოოდ კი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით და მათი ცალმხრივად აღიარებით გამოიხატა, რამაც საბოლოოდ ჩიხში შეიყვანა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური თუ დიპლომატიური პროცესები.

ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების გათვალისწინებით, რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება ჩვენი ქვეყნის ინტერესებში უნდა შედიოდეს. რა თქმა უნდა, საუბარია საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შეუვალი პოლიტიკის გათვალისწინებაზე. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ურთიერთობები ფაქტობრივად არასდროს გაწყვეტილა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში. მიუხედავად იმისა რომ რუსეთის ბაზარი საკმაოდ დიდია და დაახლოებით 150 მლნ-ს შეადგენს, გამოცდილებამ გვაჩვენა რომ ხშირად მოსკოვი პოლიტიკურ იარაღად იყენებს მას, რაც თავად რუსეთის როგორც სავაჭრო პარტნიორის არასტაბილურობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია რუსეთის მხრიდან ოპორტუნისტული ქცევის განსაკუთრებული მასშტაბები, საიდანაც განსაკუთრებული აღნიშვნას იმსახურებს ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტის შეუსაბამობა ხელმოწერილ ვარიანტთან, რაც ჩევენი ქვეყნის იმდროინდელი მთავრობის გამოუცდელობას უსვამს ხაზს. ეს და სხვა არასაიმედო, და, რიგ შემთხვევებში, არაკეთილსინდისიერი ქცევა, ვფიქრობ სამომავლოდ რუსეთთან ურთიერთობის, საფუძვლიანი ანალიზის და შესაბამისი დასკვნების გამოტანის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

რაც შეეხება ევროკავშირს - იგი საქართველოსთვის წარმოადგენს უალტერნატივო გზას ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უკვე მიღწეული შეთანხმებებით არის განმტკიცებული და თავის თავში

მოიცავს ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციების (მაგალითად, ანტიმონოპოლიური და სტატისტიკის სამსახურების), ისე საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის, თუ დემოკრატიული ინსტიტუტების, როგორიცაა საკუთრების უფლების დაცვა და კანონის უზენაესობა, რაც ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში იქნება გამოხატული. თუმცა, აღნიშნული შეთანხმება ვალდებულებების ნაწილსაც შეიცავს, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნების ჩამონათვალშია მოცემული.

გასატარებელი რეფორმების კუთხით ჩვენი ქვეყანა ისევ დგას გამოწვევების წინაშე, როგორიცაა მომხმარებლების უფლებების დაცვა, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი კონკურენციის უზრუნველყოფა და ა.შ. ამ ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის კი გარდა ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ნების გამოხატულებისა, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსია საჭირო, რაც საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულების გარეშე წარმოუდგენელია.

ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში მუშაობს რამდენიმე მისია, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი გარდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტებისა, ასევე უკავია ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს, რომლის უშუალო პრეროგატივას წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მიზნით განხორციელებული ფინანსური დახმარება და პროექტების მონიტორინგი.

დასასრულს, მინდა ავღნიშნო, რომ სამომავლოდ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანება, რომელიც რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკასთან ასოცირდება, მიუხედავად მასში გაწევრიანების სიმარტივისა, რეალური განვითარების შესაძლებლობას ვერ იძლევა. ხოლო ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა - ევროკავშირის წევრობა კი საქართველოსთვის არ შეიძლება იყოს მიზანი, ის მიზნის მიღწევის საშუალებაა (პაპავა, 2016).

გამოყენებული ლიტერატურა

- ბურკაძე ე. მამულაშვილი მ., 2015, *სურსათის უვნებლობა და DCFTA,* ჟურნალისტური სტატია, Journalism Resource Center – JRC, http://jrc.ge/%e1%83%90%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%9d%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a4%e1%83%a3%e1%83%ab%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%9f%e1%83%a3/?lang=ka
- მექვაბიშვილი ე., 2016, *გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთიანობა – თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა.* თბილისი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი. #2 / 2016, https://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N2.pdf
- პაპავა ვ., 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.* თბილისი, პდპ.
- პაპავა ვ., 2010. *ნეკროეკონომიკის ზომბირება.* თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
- პაპავა ვ., 2013. *პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ.* ექსპერტის აზრი 7. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/7-expert-opinion-geo.pdf.
- პაპავა ვ., 2015. *საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები.* თბილისი, ინტელექტი.
- პაპავა ვ., 2016. *საქართველოს არჩევანი: ევროკავშირი თუ ევრაზიული ეკონომიკური კავშირი.* ექსპერტის აზრი 57. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-geo.pdf.
- პაპავა ვ., 2017. *საქართველოს ეკონომიკა - ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე* ექსპერტის აზრი 75. თბილისი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

- ხატიაშვილი გ., 2016. *საქართველო-რუსეთის ფედერაციის მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) საკითხებზე 5 წლის შემდეგ.* პუბლიკაცია/სტატია, თბილისი, ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტი. https://idfi.ge/ge/georgia_russia_negotiations_on_wto_issues_five_years_ago
- Аналитический вестник, 1999. *Причины и последствия финансового кризиса в России конца 90-х годов по материалам Временной комиссии по расследованию причин, обстоятельств и последствий принятия решений от 17 августа 1998 года,* 1999 г. Москва, Аналитический вестник № 10 (98) май, Аппарат совета федерации федерального собрания Российской федерации информационно-аналитическое управление https://web.archive.org/web/20080407165846/http://www.council.gov.ru/inf_sl/bulletin/item/145/index.html.
- Гринберг Р. 2013, *Контуры новой экономики и шансы евразийской интеграции,* Международная научно-практическая конференция IX заседание, Межакадемического совета России и Беларуси, Материалы выступлений, http://library.vscc.ac.ru/Files/books/1436190063integracija_v_formate_ch_1.pdf#page=28 .
- Зевин Л.З. 2015 Москва, *О некоторых проблемах экономического пространства Евразии XXI века,* Научный доклад. Москва, Институт экономики РАН.
- Папава В. Старр Ф., 2016, Экономический Империализм России, *Project Syndicate*, http://prosyn.org/jhLmEqE.
- Папава В., 2008, *Р*оссия: Железная Хватка Кремля, *Eurasia.org*б http://russian.eurasianet.org/departments/insight/articles/eav110708aru.shtml.
- Папава В., 2011, *Россия и Грузия: в Поисках Выхода,* Грузинский фонд стратегических и международных исследований.
- Папава В., 2012 Вступление России в ВТО: Взгляд из Тбилиси, International Alert, http://www.international-alert.org/node/12118.
- Папава В., 2012, *Россия и Грузия: Пути Выхода из Кризиса,* Международный центр по конфликтом и переговорам.

- Папава В., 2012, Экономическая Составляющая Российско-Грузинского Конфликта*, Кавказ & глобализация*, Том 6 Выпуск 1.
- Папава В., 2014, *В Поисках Путей Нормализации Российско-Грузинских Отношений,* Грузинский фонд стратегических и международных исследований.
- Папава В., 2014, О «Некроэкономичиском Постиндустриализме» на постсоветском пространстве (на примере Грузии и России)*, Общество и Экономика*, № 6ю
- ЦБ, 1999. Годовой отчет 1998, Москва, Центральный банк Российской ФЕДЕРАЦИИ, Утвержден Советом директоров Банка России 14.05.99, http://www.cbr.ru/collection/collection/file/7815/ar_1998.pdf.+

Vladimer Tsitlauri

Dynamics and Future Potentials of the Georgian-Russian Economic Relations

Master's Program: Economics

The Paper is Obtaining to Achieve

Master's Degree in Economics

Research Coordinator: Professor

Academic Vladimer Papava

Tbilisi, 2020